საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჩივრის შევსების წესი და მისი დასაშვებობის პროცედურა

გზამკვლევი დოკუმენტი

2022

სარჩევი

3 შესავალი

4 წარმოების დაწყება

5 ეტაპი N1 - საჩივრის წარდგენა

7 ეტაპი N2 - საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

8 ეტაპი N3 - საჩივრის მატერიალური დასაშვებობა

12 ეტაპი N4: სააგენტოს გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყებაზე ან დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საჩივრის შევსების წესი და მისი დასაშვებობის პროცედურა

შესავალი

2014 წლიდან საქართველოში მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომ - „კანონი“), რომლის მიზანია თავისუფალი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვა და ეკონომიკურ აგენტებს შორის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა. 2020 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, კონკურენციის კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და მისი დებულებები მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირში მოქმედ სტანდარტს. კერძოდ, 2020 წლის 16 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებები, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 4 ნოემბრიდან. განახლებულმა კანონმა განსხვავებულად დაარეგულირა ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული ნორმები, ვადები და კანონის აღსრულების მექანიზმები.

საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ასევე შეიცვალა კანონის საფუძველზე დამტკიცებული საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ნორმატიული აქტები, რომელიც ადგენს კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დეტალურ პროცედურასა და მთელ რიგ სხვა მატერიალურ თუ ტექნიკურ საკითხებს.

კანონის მიხედვით, კონკურენციის საწინააღმდეგო სხვა ქმედებებთან ერთად, აკრძალულია:

- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-6 მუხლით;
- კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება - რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე7 მუხლით;
- სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვა - რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-10 მუხლით;
- ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი კონკურენცია - რომელიც გათვალისწინებულია კანონის 11[3] მუხლით.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს **საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო**. ამასთან, კანონში მითითებულ სპეციალურ შემთხვევებში, კანონის აღმასრულებელ ორგანოებს, მათ რეგულირებას დაქვემდებარებულ სექტორებში, ასევე წარმოადგენენ ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოები (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია).

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სააგენტო ატარებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ წარმოებებს – საქმის მოკვლევას, განიხილავს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებას და სახელმწიფო დახმარების შესახებ განცხადებას. ასევე, ახორციელებს ბაზრის და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მონიტორინგებს.

წინამდებარე გზამკვლევი დოკუმენტი შეეხება კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ჩასატარებელი ადმინისტრაციული წარმოების – საქმის მოკვლევის დაწყების მიზნით ეკონომიკური აგენტის მიერ საჩივრის წარმოდგენის წესს და სააგენტოს მიერ საჩივრის ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის შემოწმების პროცედურებს.

თავის მხრივ, საქმის მოკვლევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის მიზანია კონკრეტული სადავო ქმედების კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის შეფასების მიზნით, ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზის განხორციელება, მტკიცებულებების შეგროვება, ეკონომიკური აგენტის ქცევის შეფასება და კანონდარღვევაზე შესაბამისი რეაგირება.

წარმოების დაწყება

საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია:

- საჩივრის საფუძველზე ან
- სააგენტოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

საქმის მოკვლევა ტარდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7, მე-10 და 11[3] მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან მიმართებით.

ეტაპი N1 - საჩივრის წარდგენა

სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი განიხილება მხარედ და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

მომჩივანი

მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს.

მოპასუხე

მოპასუხე არის პირი, რომლის წინააღმდეგაც სააგენტოში წარდგენილია საჩივარი კანონის შესაბამისი მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე ან რომლის მიმართაც სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა.

კანონის მე-6, მე-7 და 11[3] მუხლების სპეციალური სუბიექტი და შესაბამისად მოპასუხე შესაძლოა იყოს მხოლოდ ეკონომიკური აგენტი. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის სუბიექტი ასევე, შეიძლება იყოს ეკონომიკური აგენტების ასოციაცია.

ეკონომიკური აგენტი

ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.

ხოლო, კანონის მე-10 მუხლის სპეციალური სუბიექტი არის მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

მოპასუხე	
კანონის მე-6, მე-7 და 11[3] მუხლები	ეკონომიკური აგენტი/აგენტები (მე-7 მუხლის ფარგლებში, ასევე, ეკონომიკური აგენტების ასოციაცია)
კანონის მე-10 მუხლი	სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

საჩივარი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი N1-ის შესაბამისად.

საჩივარი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- მომჩივანი (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);
- მომჩივანის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);
- მოპასუხე (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);
- საჩივრის სახე, სადაც უნდა მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი/მუხლები, რომლის სავარაუდო დარღვევასაც აქვს ადგილი;
- საქმის გარემოებების დეტალური აღწერა, სადაც უნდა მიეთითოს შესაბამისი ფაქტები, გარემოებები და მტკიცებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე. ასევე, მსჯელობა დამდგარ და მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე;
- მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომლითაც დასტურდება მომჩივანის მიერ დასახელებული გარემოებები;
- მითითება სააგენტოს მიერ ცალკეული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შენიშვნები და დამატებები;
- საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა;
- მითითება საჩივრის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;
- მომჩივანის ან მისი წარმომადგენლის სახელი, გვარი/დასახელება, ხელმოწერა და საჩივრის წარმოდგენის თარიღი.

საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.gnca.gov.ge სექცია - საჯარო ინფორმაცია/სააგენტოსთვის მიმართვის ფორმები/საჩივრის ფორმა. (იხ. https://gnca.gov.ge/public/application-forms

საჩივრის სააგენტოში წარმოდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით, ისე ელექტრონული ფორმით, სააგენტოს ოფიციალურ ელ-ფოსტაზე info@gnca.gov.ge,

სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის უფლებამოსილი, სააგენტოში წარადგინოს საჩივარი (ანუ სავარაუდო დარღვევის შედეგად მას უშუალოდ არ ადგება ქონებრივი ზიანი), შეუძლია სააგენტოში წარადგინოს განცხადება. განცხადებისათვის არ არის დადგენილი რაიმე სახის ფორმალური რეკვიზიტები, სააგენტოს მიერ ის მიიღება ცნობის სახით და გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნება სააგენტოს ინიციატივით მოკვლევის დასაწყებად.

ეტაპი N2 - საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

სააგენტო საჩივრის მიღებიდან **3 სამუშაო დღის ვადაში** ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, სააგენტო ადგენს ხარვეზს და აცნობებს მომჩივანს აღნიშნულის თაობაზე.

ხარვეზის დადგენის საფუძვლები (მაგალითის სახით):

- მოპასუხის მიუთითებლობა;
- კანონის შესაბამისი მუხლის მიუთითებლობა;
- მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ 1 მოპასუხის მითითება;
- დარღვევის არსის/მტკიცებულებების წარმოუდგენლობა;
- ზიანის თაობაზე ინფორმაციის მიუთითებლობა;
- საჩივრის წარმოდგენა ხელმოწერის გარეშე და სხვა.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად მომჩივანისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები.

მომჩივანი ვალდებულია, სააგენტოს მიერ მიცემულ ვადაში გამოასწოროს საჩივარში არსებული ხარვეზი. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის გაგრძელება შესაძლებელია მომჩივანის დასაბუთებული მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ - არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

> საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, მომჩივანი არ ჯარიმდება სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისთვის. ხარვეზის გამოუსწორებლობა იწვევს საჩივრის განუხილველად დატოვებას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია საჩივრის ხელახლა წარდგენა, რის შემდეგაც, მისი ფორმალური დასაშვებობის ეტაპი დაიწყება თავიდან.

ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვება ხდება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომლის გასაჩივრება შესაძლებელია **თბილისის საქალაქო სასამართლოში.**

> თუ სააგენტოს წარედგინა საჩივარი ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე და საკითხი ცალსახად არ არის სააგენტოს შესასწავლი, იგი ამ საჩივარს **5 სამუშაო დღის ვადაში** გადაუგზავნის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, როგორც უფლებამოსილ ორგანოს.

თუ საჩივარი სრულყოფილად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, იწყება საჩივრის მატერიალური დასაშვებობას შემოწმება, შუალედური ბრძანების გამოცემის გარეშე.

საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, მომჩივან ეკონომიკურ აგენტს აქვს უფლება:

- ჰყავდეს ადვოკატი/წარმომადგენელი;
- მოითხოვოს წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა;
- ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მოითხოვოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ;
- უკან გაიხმოს საჩივარი.

ეტაპი N3 - საჩივრის მატერიალური დასაშვებობა

თუ საჩივარი ფორმალურად შესაბამისია კანონმდებლობასთან და წარმოდგენილია სრულყოფილი სახით, ავტომატურად, ყოველგვარი შუალედური ბრძანების გამოცემის გარეშე, სააგენტო იწყებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლას.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება გულისხმობს იმის შესწავლას, არსებობს თუ არა საჩივრის დაუშვებლობის საფუძვლები და ხსენებულ საჩივარზე მიზანშეწონილია თუ არა საქმის მოკვლევის დაწყება. მატერიალური დასაშვებობის შემოწმება ხდება სრულყოფილად შევსებული საჩივრის სააგენტოში რეგისტრაციიდან **30 სამუშაო დღის განმავლობაში**, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს **არაუმეტეს 15 სამუშაო დღით**.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის 15 სამუშაო დღით გაგრძელების შემთხვევაში, შუალედური ბრძანება არ გამოიცემა და მხარეებს არ ეცნობებათ ვადის გაგრძელების თაობაზე.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის გამოთვლა	
შემთხვევა N1: საჩივარი წარმოდგენილია სრულყოფილი სახით და არ ხდება ხარვეზის დადგენა	საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების 3 დღიანი ვადა შედის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების 30 დღიან ვადაში და ვადა აითვლება საჩივრის რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.
შემთხვევა N2: საჩივარი არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი სახით და სააგენტოს მიერ დადგენილია ხარვეზი	საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება მხოლოდ ხარვეზის აღმოფხვრის და სრულყოფილად შევსებული საჩივრის სააგენტოში რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.
შემთხვევა N3: საჩივარი ეხება რეგულირებად სექტორში მოქმედ სუბიექტებს და სააგენტოსა და მარეგულირებელ ორგანოებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპეტენციების გამიჯვნის თაობაზე	თუ საჩივარი წარმოდგენილია რეგულირებად სექტორში კანონის დარღვევის თაობაზე, საჩივარი 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს. თუ ვერ დგინდება საკითხის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, უწყებებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის მიზნით, ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე. სააგენტოში საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც სააგენტო იქნება განსაზღვრული შესაბამის უფლებამოსილ ორგანოდ.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის გამოთვლა	
შემთხვევა N1: სააგენტო მომჩივანი ეკონომიკური აგენტისგან გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას/მტკიცებულებებს	მატერიალური დასაშვებობის ვადის დინება ჩერდება. ვადა განახლდება მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სააგენტოში რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.
შემთხვევა N2: მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებულია ე.წ. პირობითი ვალდებულებები (დეტალურად იხ. პუნქტი 5.3.) და სააგენტომ აღნიშნულის შესახებ აცნობა მომჩივანს	მოპასუხის პირობითი ვალდებულებების შესახებ მომჩივანი ეკონომიკური აგენტისთვის ინფორმაციის გაგზავნა აჩერებს საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას. ვადა განახლდება მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების სააგენტოში რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან. თუ მომჩივანი სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ინფორმაციას - ვადა განახლდება მოსაზრებების წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

5.1. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე, სააგენტო ამოწმებს, არსებობს თუ არა მოკვლევის დაწყების საფუძველი. ამ მიზნით, სააგენტო ახორციელებს (თუმცა, არ შემოიფარგლება) შემდეგ ქმედებებს:

- სააგენტო ვალდებულია, მოპასუხეს საჩივარი პოზიციისთვის გადაუგზავნოს სრულყოფილი საჩივრის შემოსვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. გამონაკლისია მხოლოდ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივარი, რომელიც არ ეგზავნება მოპასუხეს;
- სააგენტო ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისცეს მხარეებს ადმინისტრაციული წარმოების მასალებზე წვდომის უფლება;
- წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია განიხილოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე მომჩივანის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებები;
- სააგენტო ვალდებულია, იმსჯელოს პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე;
- სააგენტო უფლებამოსილია, მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/მტკიცებულებები;
- სააგენტო უფლებამოსილია ახსნა-განმარტებაზე დაიბაროს მომჩივანი და მოპასუხე;
- სააგენტო უფლებამოსილია, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია და ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა უფლებამოსილი პირი.

სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა იწვევს პირის დაჯარიმებას. იურიდიული პირის შემთხვევაში - 3000 ლარით (განმეორებითობა - 5000 ლარი), ფიზიკური პირის შემთხვევაში - 1000 ლარით (განმეორებითობა - 3000 ლარი). ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებისგან.

სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება:

- ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა;
- არასწორი ინფორმაციის მიწოდება;
- მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება.

ინფორმაციის მიუწოდებლობად არ ითვლება სააგენტოს მიიერ განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული პასუხი მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

5.2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე მხარეებს აქვთ:

- საქმესთან დაკავშირებით სააგენტოსთვის შენიშვნების/მოსაზრებების მიწოდების უფლება;
- ადვოკატის ან/და წარმომადგენლის ყოლის უფლება;
- კანონით დადგენილი წესით, საქმის მასალების გაცნობის უფლება;
- ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნის უფლება;
- ინტერსთა კონფლიქტის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომლის აცილების მოთხოვნის უფლება;
- საჩივრის უკან გახმობის უფლება;
- მოპასუხეს უფლება აქვს აიღოს პირობითი ვალდებულება კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე.

თავის მხრივ, მხარეები ვალდებულნი არიან, დადგენილ ვადაში მიაწოდონ სააგენტოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია და გამოცხადდნენ ახსნა-განმარტების სხდომაზე.

5.3. პირობითი ვალდებულებები

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია, სააგენტოს შესთავაზოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე პირობითი ვალდებულების (ე.წ. პირობითი ვალდებულებების) მიღება. პირობითი ვალდებულების შეთავაზების შემთხვევაში:

- სააგენტო 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მომჩივანს პირობითი ვალდებულებების თაობაზე, რაც იწვევს საჩივრის დასაშვებობის ვადის შეჩერებას;
- მომჩივანი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია, წარმოადგინოს მოსაზრებები პირობითი ვალდებულებების თაობაზე - რაც იწვევს ვადის დინების განახლებას;
- სააგენტო უფლებამოსილია, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;
- კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას, სააგენტო 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს და ითხოვს მისგან პოზიციის წარმოდგენას. თუმცა, არ არის შებოჭილი მარეგულირებლის მოსაზრებით.

პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება:

- თუ სააგენტო დაეთანხმება მოპასუხის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებებს, მიიღებს პირობით გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ და მხარეს მისცემს ვადას ვალდებულებების შესასრულებლად. ბრძანება ექვემდებარება გასაჩივრებას თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- თუ სააგენტო არ მიიღებს მოპასუხის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებებს, გამოსცემს ბრძანებას ვალდებულებების მიღებაზე უარის თქმის და საჩივრის დასაშვებობის შემოწმების გაგრძელების შესახებ. ბრძანება ცალკე არ საჩივრდება.

თუ ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული სახით არ შესრულდება პირობითი ვალდებულებები, საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება განახლდება და ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.

პირობითი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ იწვევს პირის დაჯარიმებას საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე.

ეტაპი N4: სააგენტოს გადაწყვეტილება მოკვლევის დაწყებაზე ან დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების შემდეგ სააგენტო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ - რომელიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია **გონივრული ეჭვი** „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. ამდენად, სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს, არსებობს თუ არა კანონმდებლობის დარღვევის ნიშნები და აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას, ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას და საჩივრის მატერიალური დასაშვებობის პროცესში მიღებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

სააგენტოს ცალსახად არ წარმოეშვება კანონის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი შემდეგ შემთხვევებში (მაგალითის სახით):

- საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და სააგენტომ დასაშვებობის ეტაპზევე დაადგინა, რომ მოპასუხე არ წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტს;
- საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და სააგენტომ დასაშვებობის ეტაპზევე დაადგინა, რომ მოპასუხე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს;
- საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და სააგენტომ დასაშვებობის ეტაპზევე დაადგინა, რომ სადავო ქმედება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლისს და ა.შ.

საქმის მოკვლევის დაწყების შემთხვევაში, **საქმის მოკვლევის ვადაა 6 თვე** - რომელიც შეიძლება **გაგრძელდეს 18 თვემდე**.

სააგენტო უარს ამბობს მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

- საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს;
- არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული საფუძველი;
- მომჩივანმა სააგენტოს მიერ კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა მისგან გამოთხოვილი ინფორმაცია/მტკიცებულება;
- მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- არსებობს საქმის მოკვლევის შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;
- არსებობს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;
- სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, სააგენტო თანხმობას განაცხადებს ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.

(032) 244 07 70 (21 74)

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-10 სართული